ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44.44212312**
თარიღი:**19/08/2021**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 აგვისტოს N№44.442122850 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 35-ე, 36 მუხლების, 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესისა“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 აგვისტოს N№44.442122850 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა/. ბრძანების მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

ბ/. ბრძანებას დაემატოს შემდეგი რედაქციის 2^1 პუნქტი:

„2^1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს დახურული კონკურსი II და III რანგის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე (სამსახურის უფროსის მოადგილე) – 1 (ერთი) ერთეული.

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული“.

გ/. ბრძანებას დაემატოს შემდეგი რედაქციის 2^2 პუნქტი:

„2^2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დახურულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მოქმედ პროფესიულ საჯარო მოხელეს, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, თუ იგი არანაკლებ 1 წელია მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში და აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს“.

დ/. ბრძანების მე-3 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში II და III რანგის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებულ შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ მოხელეებს“.

ე/. ბრძანების მე-4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ღია, დახურული და შიდა კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით“.

ვ/. ბრძანების მე-6 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კანდიდატს ღია, დახურულ ან/და შიდა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით“.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი